MES 4 21 0001010310

01/10/2021

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 17 სექტემბერს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი / საბჭოს წევრი
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე /საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „მერმისი":
ნონა ღუდუშაური - დირექტორი
ნანა ნამგალაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი":
პავლე თვალიაშვილი - კოლეჯის დირექტორი
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი
დავით ჯანიაშვილი - იურისტი

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია:

რევაზ უზუნაძე - აკადემიის დირექტორი
შორენა უზუნაძე - დირექტორის მოადგილე
მზია ბაკურიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ინგა შალამბერიძე - სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერი
მარინა კვირიკაძე-გურგენიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

დიანა გახარია
ნია გუგუნავა
ნიკოლოზ კიკნაველიძე
ქეთევან ღვანიძე
ნანა ვერულაშვილი
თამილა გრძელიშვილი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 15:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, სხდომაზე ოქმის წარმოება დაევალა საბჭოს წევრს ქრისტინა რზგოევას, ვინაიდან საბჭოს მდივანი მაგდა ბოლოთაშვილი სხდომას არ ესწრებოდა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და

აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:
1. ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნის'' ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯი ,,მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქოს)‘' განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლების" განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნის" ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოზე წარმოადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის "საზოგადოება ცოდნის" დირექტორმა ბატონმა ნუგზარ წერეთელმა, წერილით მიმართა ცენტრს, რომელშიც მითითებულია, რომ ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნა“ წყვეტს ფუნქციონირებას, ამ ეტაპზე კოლეჯს არ ყავდა არცერთი აქტიური ან სტატუს შეჩერებული სტუდენტი. კოლეჯის დირექტორმა კომუნიკაციის დროს აღნიშნა, რომ ითხოვდა მოცემული მიზეზებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის გაუქმებას. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ კოლეჯს ავტორიზაცია მიენიჭა 2018 წლის 18 აპრილის №57 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას მიეცა უფლება განეხორციელებინა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ფარმაცევტის თანაშემწე“. კოლეჯს არ ერიცხება არც ერთი პროფესიული სტუდენტი, არც ჰყოლიათ პროფესიული სტუდენტები, მიუხედავად იმისა რომ აქტიურად ეწეოდნენ რეკლამირებას. დაწესებულებას გაეგზავნა საბჭოზე მოწვევის წერილი, თუმცა დაწესებულებიდან მიიღო უარი, დაწესებულების წარმნომადგენლის განმარტებით, ავტორიზაციის გაუქმების საკითხი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ, ითხოვდნენ ავტორიზაციის გაუქმებას საბჭოს სხდომაზე დაუსწრებლად.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს მიერ ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას, საფუძვლად უნდა დაედოს, ავტორიზაციის დებულების 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ავტორიზაციის გაუქმებას ითვალისწინებს და ამავე დებულების 48-ე მუხლი, რომელიც ავტორიზაციის სამართლებრივ შედეგებს მოიაზრებს.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია დაინტერესდა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ავტორიზაციის გაუქმების მიზეზი, კერძოდ არის თუ არა მოცემული დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გაუქმების მოთხოვნის საფუძველი მხოლოდ პროფესიული სტუდენტების აქტივობის დაბალი დონე, ამასთან ასეთი დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხის არსებობა არის თუ არა საკითხისადმი არასწორი მიდგომის შედეგი, რაც გამოიხატა მოცემული კოლეჯისთვის ავტორიზაციის მინიჭებაში, კერძოდ საბჭომ ხომ არ შეაფასა კოლეჯის უნარი და რესურსი არასწორად და მიანიჭა თუ არა ავტორიზაცია ისეთ კოლეჯს, რომელიც ამას არ იმსახურებდა, რადგან ამ უკანასკნელმა სტუდენტების მოზიდვა და მათი სასწავლო პროცესში ჩართვა ვერ განახორციელა. ნანა ყუფუნიამ აქვე განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი იყო სპეციფიკური და მნიშვნელოვანი, რადგან ბაზარზე შემოდიან მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულებები და შესაბამისად ამ უკანასკნელებთანაც, რომ არ დადგეს იგივე არასასურველი შედეგი, საჭიროა გამოკვლეულ იქნეს აღნიშნული დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების საკითხი და შესაბამისად მიზეზი, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული, როგორც სახელმწიფოს ისე ცენტრის მხრიდანაც დამატებითი ხარჯებისა და რესურსის გაღება, რომელიც ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის "საზოგადოება ცოდნის" შემთხვევაში დაიხარჯა. მან თხოვა ნანი დალაქიშვილს, საბჭოს წევრებისთვის მოეხსენებინა, როგორი იყო მსგავსი კოლეჯების სტატისტიკა, რომლებიც თავიანთი ნებით ითხოვდნენ ავტორიზაციის გაუქმებას.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ სტატისტიკურად, აღნიშნული, იყო მეორე შემთხვევა, როდესაც კოლეჯები თავისი ნებით გამოთქვამდნენ ავტორიზაციის გაუქმების სურვილს. მაგ: ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო ფერმერთა სკოლა, რომელიც საგარეჯოში მდებარეობს, მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ უფრო მოქნილი მოკლევადიანი პროგრამები განეხორციელებინა, რასაც ამჟამად აგრძელებს, საკვალიფიკაციო პროგრამებზე პროფესიული სტუდენტები არ მიუვიდა და მოითხოვა ავტორიზაციის გაუქმება, თუმცა ამჟამად ფუნქციონირებს როგორც იურიდიული პირი და ახორციელებს მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს, როგორც ფორმალურს, ისე არაფორმალურს და საკმაო რაოდენობის მსმენელებიც ყავს.
რაც შეეხება ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის "საზოგადოება ცოდნას“, აღნიშნა ნანი დალაქიშვილმა, აღნიშნული კოლეჯი მდებარეობს თბილისის ცენტრში, კოსტავას ქუჩაზე, ყოფილი სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობაში. თავის დროზე ამ იურიდიულ პირს ქონდა უმაღლესი სასწავლებელი და ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება, შემდეგ კი როგორც უმაღლესმა სასწავლებელმა საგანმანათლებლო პროგრამები გააუქმა და ჩათვალა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შეძლებდა, ვინაიდან იურიდიულ პირს გააჩნდა საკუთარი რესურსი, შენობა-ნაგებობა, მატერიალური ბაზა და გააგრძელა ფუნქციონირება, თუმცა იმ პერიოდში აკმაყოფილებდა სტანდარტებს, საკმაოდ მომზადებული იყო დაწესებულება, აქედან გამომდინარე არანაირი საფუძველი არ იყო იმისა, რომ უარი ეთქვა საბჭოს ავტორიზაციაზე, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ, დაწესებულება ვერ ახერხებდა, სტუდენტების მიზიდვას, დაწესებულებას ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ჰქონდა - „ბუღალტრული აღრიცხვა“ და „ფარმაცევტის თანაშემწე“, ეს პროგრამები სხვა დაწესებულებებში დიდი ხანია ხორციელდება და საკმაოდ წარმატებულად, ხოლო ა(ა)იპ

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის "საზოგადოება ცოდნამ" ვერ გაუძლო კონკურენციას, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ აღნიშნული კოლეჯი ითხოვდა ავტორიზაციის გაუქმებას, რაც თავადვე აღიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნის'' ავტორიზაციის გაუქმების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე:7
წინააღმდეგი:0

გადაწყვეტილება:
ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის ,,საზოგადოება ცოდნას'' (ს/კ: 203844242) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

საბჭოს სხდომას 15:20 საათზე შემოუერთდნენ მარიამ ქუჩულორია და მარიამ ჩაგელიშვილი.

მეორე საკითხის განხილვის დაწყებამდე, რომელიც ეხებოდა სსიპ - კოლეჯი ,,მერმისის'' ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილების ცვლილების შესახებ საკითხს, სსიპ - კოლეჯი ,,მერმისის“ დირექტორი, ტელეფონით დაუკავშირდა ნანი დალაქიშვილს და ითხოვა საკითხის მოგვიანებით განხილვა, ვინაიდან ვერ ერთვებოდა საბჭოს სხდომას.
საბჭოს თავმჯდომარემ თანხმობა განაცხადა საკითხის გადატანაზე და საბჭოს სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგის მიხედვით.

2. სსიპ კოლეჯ ,,მოდუსისთვის" ,,მეხილეობის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაატების შესახებ საკითხის განხილვა.

3. სსიპ კოლეჯ ,,მოდუსისთვის" ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე პრეზენტაცია წარადგინა ექსპერტმა დიანა გახარიამ და იქვე აღნიშნა, რომ ორივე პროგრამისათვის ერთ პრეზენტაციას წარმოადგენდა, ვინაიდან ორივე პროგრამის შემთხვევაში ინსტიტუციური ნაწილი იყო იდენტური, ხოლო პროგრამებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტები ისაუბრებდნენ, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო, ვინაიდან ასეთი პრაქტიკა უკვე ჰქონდა საბჭოს.
სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ მიერ ცენტრში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 20 ივნისის

№727951 და №727955 ბრძანებების საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ (მარნეულის ლოკაციაზე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „მეხილეობა“ და „აღმზრდელი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება, დისტანციური ვიზიტი განხორციელდა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, ,,პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ. ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.
დიანა გახარიამ აღნიშნა, რომ „მეხილეობის“ პროფესიული მომზადების პროგრამის დარგის ექსპერტი გახლდათ ნიკოლოზ კიკნაველიძე, ხოლო „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - ქეთევან ღვანიძე.
დიანა გახარიამ პრეზენტაციაში ყურადღება გაამახვილა დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებაზე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტური კავშირი, რომლის დებულება განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, აღსანიშნავია, რომ კავშირის წარმომადგენელი შედის კოლეჯის საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენს სტუდენტების სურვილისა და ინიციატივების გაჟღერება, ხელის შეწყობა და დახმარება.
"აღმზრდელის" პროგრამასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას განაცხადში მითითებული ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30. რაც შეეხება "მეხილეობის" საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით), აქაც მოთხოვნილი იყო 30 პროფესიული სტუდენტი. ორივე შემთხვევაში დაწესებულებას განაცხადი შემოტანილი ჰქონდა მარნეულის ლოკაციაზე.

ნანი დალაქიშვილმა ექსპერტებს დაზუსტება სთხოვა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში. იქიდან გამომდინარე, რომ არ იყო მითითებული არც დასკვნაში და არც ექსპერტთა ჯგუფის პრეზენტაციაში, ამიტომ მან თხოვა ექსპერტს დაეზუსტებინა და განემარტა კვოტასთან დაკავშირებით, რაზედაც ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იყო 30, მათ შორის, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 30.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლონდა მინდიაშვილმა განმარტა, რომ განაცხადში 30 ეწერა დაწესებულებას როგორც ინტეგრირებულზე, ასევე არაინტეგრირებულზე.

დიანა გახარია შეეხო დაწესებულებაში ვიზიტის დროს დაფიქსირებულ ხარვეზებს და გაცემულ რეკომენდაციებს, მან აღნიშნა, რომ ორივე პროგრამისთვის იდენტური იყო გაცემული რეკომენდაციები, განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ ხარვეზების ნაწილში, ერთი ხარვეზი დაფიქსირდა „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში (2.1.1-2), ხოლო „მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში დაემატა ხარვეზი 2.2.1-3 თან მიმართებაში.

გამოვლენილი ხარვეზები:
2.1.1-2 კოლეჯის მოქმედი რეგულაცია ჩარიცხვის პირობებთან დაკავშირებით არ ითვალისწინებს მიმდინარე კანონმდებლობის მოთხოვნას(ორივე პროგრამის ფარგლებში) .
2.2.1-3 „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მოდულების განმხორციელებელ პირებს, წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და გასაუბრებაზე დაყრდნობით, არ უდასტურდებათ დარგობრივი კომპეტენცია.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები:
2.1.1-2 ვინაიდან კოლეჯის მოქმედი რეგულაცია ჩარიცხვის პირობებთან დაკავშირებით, არ ითვალისწინებს მიმდინარე კანონმდებლობის მოთხოვნას, და რადგან აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით არ იქნა წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ექსპერტები არ ეთანხმებიან დაწესებულების მიერ განაცხადით დაფიქსირებულ პოზიციას - „შეესაბამება“ და სტანდარტის მოთხოვნასთან მიმართებაში აფასებენ როგორც „არ შეესაბამება“, ამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია - ჩარიცხვის მექანიზმი დამტკიცდეს ზემოაღნიშნულ მინისტრის ბრძანებასთან შესაბამისობაში და მოიცავდეს სამართლიან და გამჭვირვალე პირობებს, იმგვარი დაშვების წინაპირობებს, რომელიც არ იქნება საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებულზე ნაკლები და უზრუნველყოფდეს შერჩევის გონივრული ინსტრუმენტების გამოყენებას.
2.2.1-3 ახალი კადრების განმახორციელებლებად მომზადების საჭიროებიდან გამომდინარე, ექპერტები არ ეთანხმებიან სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შესაბამება“ და წარმოდგენილი გაუმჯობესების გეგმისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის სამუშაო გეგმის გათვალისწინებით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“ და გაიცა შემდეგი რეკომენდაცია: განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლების სანათადო ტრენინგები, სწავლება და შეფასება დადგენილ ვადებში.
2.4.2-1-2 ექსპერტები არ ეთანხმებიან სტანდარტთან მიმართებაში კოლეჯის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ პოზიციას - „შეესაბამება“ და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმასა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. ამასთან, ხსენებული გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაცია: გადაიხედოს შეფასების სისტემა, ვალიდაცია, ვერიფიკაციის მექანიზმი პროცესების თანმიმდევრობის და ადმინისტრირების საკითხები, მათ შორის ვერიფიკაციის პროცესის წარმართვისათვის შერჩევის/რისკების პრინციპების (რისკების გამოვლენისა და თავიდან აცილების სისტემა) განსაზღვრის მიზნით. საჭიროა ჩანაწერები დაიხვეწოს იმგვარად, რომ რეგულაციაში მკაფიოდ იყოს დეკლარირებული ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობას და ობიექტურობის პრინციპები, შეფასების სისტემის რომელ ნაწილს მიემართება ხსენებული პრინციპები, როგორი არის მათი დაცვის მექანიზმები და პროცედურულად აღიწეროს და დადგინდეს ადმინისტრირების საკითხები; ასევე განისაზღვროს განმეორებითი შეფასების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნები.
2.4.2-4 კოლეჯის მიერ გეგმიურად გადასახედ დოკუმენტებში დასაკორექტირებელ საკითხებთან დაკავშირებით, ექსპერტები არ ეთანხმებიან სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების მიერ განაცხადში დაფიქსირებულ შეფასებას - „შესაბამება“ და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2021 წლის სამუშაო გეგმისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, აფასებენ როგორც „მეტწილად შეესაბამება“. ამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია დადგენილ ვადაში დაგეგმილი აქტივობების განხორცილებებისას დაწესებულებამ გაითვალისწინოს შემდეგი: გაწეროს შეფასების შედეგების სტუდენტებისათვის გაცნობის (ამასთან განისაზღვროს ინფორმირების ვადები და ფორმა, შედეგების წინმსწრებ მოდულებზე შედეგების გასაჩრების შემთხვევებისა და გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადების გათვალისწინებით) და უკუკავშირის მიცემის

რეგულაცია, უზრუნველყოს შეფასების შედეგების გაანალიზება პროგრამის ან/და სწავლების/შეფასების პროცესის გაუმჯობესების მიზნებისთვის.
დაწესებულებას ასევე მიეცა განმავითარებელი რეკომენდაციები
2.1.1-1 პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დოკუმენტში დატანილი იქნას ინფორმაცია/სტატისტიკური მონაცემები/შედეგები ჩატარებული კვლევების შესახებ (პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადები, გამოყენებული ინსტრუმენტი, მონაწილეთა რაოდენობა და კატეგორია ან/და სხვა.) 2.1.1-3 კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წარმოდგენილი დოკუმენტი ძირითადად ასახავს გასათვალისწინებელ კრიტერიუმებს და ხსნის სასწავლო გარემოს ტიპებს, ამასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია დოკუმენტი დაიხვეწოს და მოიცავდეს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების დაზუსტებულ საკითხებს.
2.2.1-4 შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებასა და ვერიფიკაციის პროცესში პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობასთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაცია გაიმიჯნოს აღნიშნული პროცესები და გამოირიცხოს მათი ერთი და იგივე პირის მიერ შესრულება.
2.3.1-1-2 ექსპერტების შეფასებით, რეგულაციები „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ და „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ მოიცავს სტანდარტით გათვალისწინებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს, თუმცა საჭიროებს მოწესრიგებას სტრუქტურულად და ტექნიკურად, ასევე ზოგიერთი ჩანაწერის შესაბამისობაში მოსაყვანად, შესაბამისად რეკომენდაციაა კოლეჯმა უზრუნველყოს, დადგენილი მოთხოვნების გადახედვა დასამტკიცებლად წარდგენილი პროგრამის დანართების განსაზღვრასთან დაკავშირებით, რათა თავიდან იქნას აცილებული რეგულაციიდან გადაცდომის რისკი (განიხილოს საკოორდინაციო საბჭოსთან პროგრამის დამატების შესახებ შეთანხმების გზები; პროგრამის დამატებაზე/ცვლილების შეტანაზე ინიცირების უფლებამოსილების მქონე პირ/ებ/ის და შემმუშავებელი ჯგუფის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი პირ/ებ/ის მკაფიოდ განსაზღვრა; გამოირიცხოს შეუსაბამო ტერმინების გამოყენება „სავალდებულო მოდული“, „აკრედიტაცია“ და პროგრამის შემუშავების თაობაზე არსებული მუხლები - ინსტრუქციები, გაიწეროს ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების ადაპტირების ფორმით (ცენტრი აძლევს რეკომენდაციას დაწესებულებას, დაწესებულება რეკომენდაციაზე დაყრდნობით შეიმუშავებს მექანიზმებს/ინსტრუქციებს და აქვს მისი დადგენილი მიდგომების აღწერის სახე, მაგ. ფორმულირება: „კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს პროფესიული სტანდარტის ფარგლებში შეთავაზებული მოდულები და შეარჩიოს ან განავითაროს ისინი საკუთარი შეხედულებისამებრ“ - წარმოადგენს ცენტრის რეკომენდაციას.
2.4.1-4 დაწესებულებამ რეგულაციაში გამოკვეთოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტების გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულობის მექანიზმი და უზრუნველყოს შემდგომში მათი კმაყოფილების დადგენა აღნიშნული მომსახურებით. ექსპერტების რეკომენდაციაა აღნიშნული სერვისით დაინტერესებული პირების მომსახურების მიზნებისთვის კოლეჯი დაეყრდნოს საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N459 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ №188/ნ ბრძანებისა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2019 წლის 2 ოქტომბრის N915/ი და 2019 წლის 19 სექტემბრის N837/ი ბრძანებებით განსაზღვრულ პირობებს, ხოლო 28-ე მუხლი შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 28 დეკემბრის N121/ნ ბრძანებასთან.
2.4.1-6 კოლეჯმა ჩამოაყალიბოს დაწესებულების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დასკვნის მომზადების მიდგომა დარგობრივ კონტექსტში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შრომის უსაფრთხოების პირობების უზრუნველყოფის - განსაკუთრებული ნორმების არსებობის/არარსებობის თაობაზე.

2.4.2-3 რეგულაციაში აისახოს: ვინ არის მტკიცებულებების მოგროვებაზე პასუხისმგებელი პირი და როგორია მტკიცებულებების მიმართ წაყენებული მოთხოვნები.
დიანა გახარიამ ასევე თავის პრეზენტაციაში წარმოადგინა სასწავლო გარემოების/აუდიტორიების ამსახველი ფოტოკოლაჟი.
შემდეგ ისაუბრა ,,აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგის ექსპერტმა, მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამაზე კოლეჯს სურს 30 სტუდენტის მიღება ორი ცვლაში. პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი, 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამა ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას, ესენია, „გაცნობითი პრაქტიკა" და „სკოლამდელი აღზრდა და განათლება", რისთვისაც კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი მარნეულში არსებულ ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან, რომელშიც შედის 14 ბაგა-ბაღი და 9 სკოლამდელი აღზრდის ცენტრი. ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კოლეჯს პრობლემა არ შეექმნება პროფესიული სტუდენტების გადანაწილებაზე პრაქტიკის ობიექტებზე. წინარე ხელშეკრულებებით პროგრამაში ჩართულია 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 4 ზოგადი და 6 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები. აღნიშნულ პირებთან გასაუბრებით და პირადი საქმეების გადამოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პირებს აქვთ დარგობრივი კომპეტენცია და უმრავლესობას აქვს ასევე კარგი სამუშაო გამოცდილება. აქვე განმარტა, რომ დარგის კუთხით ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
მანამ, სანამ „მეხილეობის" საგანმანათლებლო პროგრამაზე ისაუბრებდა დარგის ექსპერტი, საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულებას დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ხარვეზებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული მუშაობისათვის და რეკომენდაციებისათვის, რაც მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებლად გაითვალისწინებენ. თუმცა მან დასძინა, რომ მათ აქვთ გარკვეული მოსაზრება, კერძოდ, ,,აღმზრდელის" ხარვეზთან დაკავშირებით, რომელიც რეგულაციას ეხება.
მან აღნიშნა, რომ ექსპერტებთან კომუნიკაციის დროს, როდესაც დაისვა კითხვა, თუ როგორ ახორციელებდა დაწესებულება ჩარიცხვის პროცედურებს, დაწესებულების იურისტი მუშაობდა სწორედ პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის წესზე, რომელიც 23 აგვისტოს დამტკიცდა. მექანიზმების შემუშავება მიმდინარეობდა იმ მომენტისთვის, თუმცა რაც შეეხება პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის ახალ წესს, და სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, მესამე თავის მეცხრე მუხლს, ექსპერტი მართალს ამბობს, მათ გაგზავნილი ჰქონდათ ძველი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იყო №152 ბრძანება და ეს მართლაც ასე იყო. სამწუხაროდ, როგორც მან აღნიშნა, მათ გამორჩათ მხედველობიდან, რაც დროის ფაქტორთან იყო დაკავშირებული. ეს რეგულაცია 2 ივლისს იქნა მაცნეში გამოქვეყნებული, 5 ივლისს შემოვიდა მათთან, 10 ივლისამდე ჰქონდათ ცვლილების შეტანის ვალდებულება და 12 ივლისს უნდა წარედგინათ ცენტრისთვის წერილი ამ რეგულაციის შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. როგორც მან აღნიშნა, დაწესებულებას პროცედურულად ყველა თარიღი დაცული აქვს, განხორციელებულია ცვლილებაც და ვებგვერდზე იქნა განთავსებული 13 ივლისს, ვიზიტი განხორციელდა 10 აგვისტოს. სამწუხაროდ ამ დოკუმენტაციის გადმოგზავნა ვერ მოხერხდა, რადგან დოკუმენტაციის პაკეტი მათ გამოგზავნილი ჰქონდათ 5 ივლისს, ანუ იმ დღეს, როდესაც ცვლილების შესახებ ეცნობათ ცენტრის მიერ.

ნანა ყუფუნიამ ხარისხის მართვის მენეჯერს დაუსვა დამაზუსტებელი შეკითხვა თარიღთან დაკავშირებით, რაზეც ხარისხის მართვის მენეჯერმა უპასუხა, რომ ეს დოკუმენტი არ იყო გაგზავნილი, თუმცა ვიზიტის დროს ვებგვერდზე იყო განთავსებული.

მაშინ როდესაც ექსპერტებმა მოიკითხეს პროფესიული სტუდენტის შერჩევის წესი, დაწესებულების იურისტისგან იყო პასუხი, რომ მიმდინარეობდა შერჩევის წესის შემუშავება, რაზეც მოხდა აპელირება.
საყურადღებოა ის ფაქტი, რომ შერჩევის წესი დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 23 აგვისტოს, ეს არის სხვა დოკუმენტი, უბრალოდ კითხვა იქნა არასწორად გაგებული, რამაც გამოიწვია გაუგებრობა და სთხოვა საბჭოს, რომ გაეთვალისწინებინა ეს გარემოება და დაამატა, რომ აქვე, საბჭოზე შეეძლოთ ეფლოუს გაზიარება, სადაც არის ეს დოკუმენტი, სადაც ჩანს რომ წერილი დროულად იქნა გაგზავნილი ცენტრში.

ქალბატონმა ნანი დალაქიშვილმა დაადასტურა, რომ როდესაც 2 ივლისის მინისტრის ბრძანებით შეიცვალა პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი, 5 ივლისს ეცნობათ დაწესებულებებს ამის შესახებ. დაწესებულების მიერ შემოტანილი პროგრამის დამატების განაცხადის თანდართული დოკუმენტაცია - რეგულაცია ეყრდნობოდა ძველ წესს, ამაში მიუღებელი არაფერი არ იყო, დაწესებულებამ ნამდვილად 12 ივლისს მოიწერა იმის შესახებ, რომ მოახდინა რეაგირება და შეიტანა ცვლილებები სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და მოიყვანა ის შესაბამისობაში მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულ წესთან, მან დასძინა, რომ მას აქვს დაწესებულების მიერ გამოგზავნილი წერილი.წერილში მითითებულია კოლეჯის დირექტორის ბრძანება , რომლითაც კოლეჯის რეგულაცია შესაბამისობაში მოვიდა ახალ წესთან, თუმცა თვითონ ეს რეგულაცია წერილს არ ერთვოდა, კოლეჯს იმ ეტაპზე არც ევალებოდა ამ რეგულაციის ცენტრისთვის წარმოდგენა.
მან ასევე დაამატა, რომ ნამდვილად გაუგებარია რა ნაწილში არ დამყარდა სწორი კომუნიკაცია და აღქმა რატომ იყო ასეთი არასწორი. თუმცა, ავტორიზაციის დებულების მიხედვით, დაწესებულებას შეეძლო ვიზიტის ბრძანების მიღებიდან ხუთი დღის ვადაში შეცვლილი დოკუმენტი წარმოედგინა. 20 ივლისს მიეწოდა დაწესებულებას დირექტორის ბრძანება ვიზიტის თაობაზე და 20 ივლისიდან 5 დღის ვადაში მათ შეეძლოთ ეს დოკუმენტი წარმოედგინათ, თუმცა არ წარმოუდგენიათ.

ნანა ყუფუნია დაინტერესდა, დასკვნის პროექტი ხომ იყო დაწესებულებაში გაგზავნილი, რაზეც ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის მიღების შემდეგ, დაწესებულებამ ცენტრში გადმოაგზავნა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც მიეწოდა როგორც ექსპერტებს, ასევე საბჭოს, სადაც დაწესებულებას დაფიქსირებული ჰქონდა ის პოზიცია, რაზედაც ახლა ისაუბრეს, თუმცა ექსპერტებმა არ მიიღეს მხედველობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა საბჭოსთვის, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა იკითხა, როგორ მოხდება შერჩევის პროცესიო, ექსპერტმა მიიღო პასუხი, რომ შერჩევის წესი შემუშავების პროცესში იყო, შესაბამისად ნიშნავს თუ არა ეს, რომ დოკუმენტი არ არის სრულყოფილი, რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, ეთანხმებოდა საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას, რომ დოკუმენტი არ იყო სრულყოფილი, თუმცა იქვე დასძინა, რომ ეს იყო სხვა წესი და არ იყო ლაპარაკი იმაზე, სასწავლო პროცესის რეგულირების წესში შეტანილი იყო თუ არა ცვლილება.

შემდეგ განმარტება გააკეთა დაწესებულების იურისტმა, მან აღნიშნა, რომ ნამდვილად მიმდინარეობდა მუშაობა შერჩევის წესზე, შესაბამისად კითხვაზე, როგორ ხდება ჩარიცხვა და არის თუ არა შემუშავებული წესი, გასცა პასუხი, რომ არის შემუშავების პროცესში და იმ ეტაპზე მიმდინარეობდა მისი დამტკიცების პროცესი. მას არ უფიქრია თუ კითხვა დასმული იყო სასწავლო პროცესის რეგულირების წესზე, რომელიც უკვე შესაბამისობაში იყო მოყვანილი მინისტრის ბრძანებასთან ცენტრიდან შემოსული წერილის საფუძველზე.

დიანა გახარიამ განმარტა, რომ შეკითხვა ჩარიცხვის წესთან დაკავშირებით, კონკრეტულად სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მიხედვით და №152/ნ-ის დამტკიცებით რამდენიმეჯერ იქნა ნახსენები შეკითხვის დასმის დროს. შესაბამისად, გამორიცხავს, რომ სხვა შეკითხვა შეიძლებოდა გაჟღერებულიყო მისი მხრიდან ან სხვა პასუხი მოესმინა და ვერ მიმხვდარიყო. აქედან გამომდინარე, მისთვის გულსატკენია კომუნიკაციის პრობლემაზე აპელირება. მან ასევე დასძინა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ვიზიტის დროს, სანამ ექსპერტები დასვამდნენ შეკითხვებს, დაწესებულებამ მათ მიაწოდოს მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საბჭო ამ ეტაპზე ვერ შეაფასებს, როგორი იყო კომუნიკაცია და ნამდვილად იყო თუ არა ზემოთხსენებული დოკუმენტი დაწესებულებაში და მიმართა კიდევ ერთხელ ცენტრს ამ საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით.

ნანი დალაქიშვილმა გააკეთა დამაზუსტებელი განმარტება, მან აღნიშნა, რომ მინისტრის ბრძანების შესაბამისი დაწესებულების რეგულაცია არის სხვა დოკუმენტი, დაწესებულებას მინიმალურად თავის რეგულაციაში უნდა აესახა ის ახალი მიდგომები, რასაც მინისტრის №42/ნ ბრძანება ითვალისწინებდა ახალი წესით პროფესიულ სტუდენტთა მიღების თაობაზე. ეს უნდა ყოფილიყო კოლეჯის დირექტორის ბრძანება, რომელიც რეგულაციაში შეიტანდა ცვლილებას და აისახებოდა მასში №42 ბრძანებით დადგენილი ჩარიცხვის ახალი წესი.
მან დასძინა, რომ გასამიჯნია ორი რამ, ის რაც 22 აგვისტოს დაწესებულებამ დაამტკიცა, ეს იყო პროფესიულ სტუდენტთა შერჩევის წესი, ეს არის დამატებითი აქტი. სამინისტრომ შერჩევის გზამკვლევი გაუგზავნა დაწესებულებებს, ივლისის ბოლოს. რადგან ზოგი დაწესებულება ტესტირებით მიდიოდა, ზოგი შიდა შერჩევით, იმის მიხედვით, თუ რომელი დონის პროგრამაზე აცხადებდნენ რეგისტრაციას. დაწესებულებებს ძალიან გაუჭირდათ ამ ყველაფრის მორგება მინისტრის ბრძანებასთან, სამინისტრო დაეხმარა მათ და დაწესებულებამ ეს წესი ჩამოაყალიბა და აგვისტოს ბოლოს დაამტკიცეს დაწესებულებებმა. ეს არის შერჩევის წესი თითოეული დონის პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ, თუმცა საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მას ჩამოუყალიბდა წარმოდგენა ამ სიტუაციასთან დაკავშირებით. მისი აზრით კომუნიკაციის პრობლემა იყო. იურისტმა, ვისაც ექსპერტმა დაუსვა კითხვა, სხვა დოკუმენტის შესახებ გასცა პასუხი. შეცვლილი დოკუმენტის შესახებ წერილი წარდგენილი იყო ცენტრში, რასაც ქალბატონი ნანიც ადასტურებს. ასეთია სიტუაცია, მან დასძინა, რომ ექსპერტების პოზიციაც მეტ-ნაკლებად ესმის, მიუხედავად იმისა, რომ ასე მკაფიოდ და არგუმენტირებულად წარმოადგინა ქალბატონმა მადონამ და ბატონმა პავლემ თავიანთი პოზიცია, ანუ რეალურად, საბჭომ უნდა გადაწყვიტოს ამ შემთხვევაში როგორ განიხილონ ეს სიტუაცია. იმიტომ, რომ 2.1 -ის დარღვევა იწვევს ფაქტიურად პროგრამის დამატებაზე უარის თქმას, ამიტომ კარგად უნდა იქნეს გააზრებული ყველაფერი, რეგიონის სპეციფიკა, საგანმანათლებლო პროგრამა, პრობლემები და ა.შ. და ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული ფაქტობრივი მდგომარეობა, რომ ეს დოკუმენტი რეალურად არსებობდა იმ მომენტისთვის. მან განმარტა, რომ მას დარწმუნების საფუძველს აძლევდა ქალბატონი ნანის დასტური ამასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ნინო ველთაურმა დეტალების დაზუსტება სთხოვა იურისტს, მან აღნიშნა რომ ორივე მხარეს თავისი სიმართლე ჰქონდა, როგორც ექსპერტი აფიქსირებს, მან კონკრეტული დოკუმენტების, კონკრეტული მუხლების მითითებით, ბრძანების ნომრის მითითებით გააგზავნა შეკითხვა იურისტთან. მან დასძინა, რომ ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან იურისტები უფრო ამახვილებენ ყურადღებას ტექსტის ამ დეტალებზე, როდესაც რეფერირება ხდება

რომელიმე სამართლებრივ დოკუმენტზე, რაზედაც დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ აქ საუბარი იყო მათი ზეპირი გასაუბრების ნაწილზე და არანაირი დოკუმენტის გამოთხოვაზე.
რაც შეეხება დამატებით დოკუმენტების გამოთხოვას, არ გამოუთხოვიათ დოკუმენტი ექსპერტებს, გამომდინარე იქედან, რომ თავად არგუმენტირებული პასუხის შემდეგ დასკვნაში ჩაწერეს, რომ არ დამდგარა საჭიროება ამ დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ. ზეპირი გასაუბრებითაც რა ინფორმაცია მიიღეს, ეს იყო მათთვის არგუმენტი და საკმარისი იმისთვის, რომ ეს ჩაწერილიყო დასკვნაში.
ექსპერტმა დაამატა, რომ წერილობითი გამოთხოვა დოკუმენტების იმიტომ არ მომხდარა, რომ გასაუბრების დროს, როცა დაისვა კითხვა, იურისტმა უპასუხა, რომ დაწესებულებაში იყო დოკუმენტის პროექტი.
საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა აღნიშნული სიტუაცია დაწესებულებასთან, ექსპერტებთან და ცენტრთან და საბჭომ პოზიციების შესაჯერებლად გამოიყენა სათათბირო დრო.

მას შემდეგ, რაც საბჭოს წევრებმა მოითათბირეს ამ საკითხზე, საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭომ ძალიან ბევრი იმსჯელა წარმოდგენილ გარემოებებთან, მტკიცებულებებთან, მსჯელობასთან დაკავშირებით, რომელიც გაიმართა ზეპირ მოსმენაზე და მიიღო გადაწყვეტილება ისარგებლოს ავტორიზაციის დებულების 42-ე მუხლის, მე-10 პუნქტით, კერძოდ „ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით“ და შუამდგომლობით მიმართოს ცენტრს, გამოიკვლიოს პირველ რიგში, 13 ივლისის მდგომარეობით, რომელსაც ასახელებს დაწესებულება, რომ მათ ნამდვილად ჰქონდათ ატვირთული განახლებული დოკუმენტი ვებგვერდზე. საბჭო მიმართავს ცენტრს შეისწავლოს გარემოება, რომელიც არის საქმისთვის მნიშვნელოვანი. ასევე საბჭო სარგებლობს ამავე დებულების 42-ე მუხლის, მე-9 პუნქტით, კერძოდ „სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე“ და 44-ე მუხლის მე-9 პუნქტით „საბჭო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გამართვამდე, საკითხზე არსებითი მნიშვნელობის ყველა გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და შეფასების მიზნით, საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია წინასწარ შეისწავლოს ეს დოკუმენტაცია და ამასთან, საბჭოს წევრი უფლებამოსილია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია და მისი შესწავლის მიზნით, საბჭო უფლებამოსილია გადადოს საკითხის განხილვა ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით“.
შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, თუ რა ვადა იყო დარჩენილი ამ საქმისწარმოების ფარგლებში და შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, პირველი, შეისწავლოს და მიეწოდოს საბჭოს შემდეგ სხდომამდე, ნამდვილად იყო თუ არა განახლებული დოკუმენტი ვებგვერდზე განთავსებული, მეორე, შეისწავლოს ან დაავალოს უფლებამოსილ პირებს ამ დოკუმენტის მინისტრის ბრძანებასთან შესაბამისობა. ასევე, თუკი ჩათვლის საჭიროდ, შეისწავლოს აღნიშნული კომუნიკაციის საკითხი. გადაწყვეტილების მიღების საკითხი გადაიდოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე.
საბჭოს თავმჯდომარემ დასძინა, რომ ეს ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამა ,,აღმზრდელს“, ხოლო ,,მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაგრძელდებოდა მსჯელობა, ვინაიდან ბოლომდე არ განხილულა საკითხი, და არც დარგის ექსპერტისთვის მოუსმენია საბჭოს.

საკითხის განხილვა გააგრძელა დიანა გახარიამ ,,მეხილეობის“ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ განსხვავებელი პრობლემა, რაც გამოიკვეთა ამ პროგრამის შემთხვევაში, არის ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, და დაამატა, რომ ამაზე ისაუბრებდა დარგის ექსპერტი.

დარგის ექსპერტი ნიკოლოზ კიკნაველიძე შეეხო პროგრამის განხორციელების აქტუალობის საკითხს რეგიონში, რადგან საქართველოში პროდუქციის წარმოების ნახევარზე მეტს ხედავს ამ რეგიონში და სოფლის მეურნეობაში თუ სადმე მიწა მუშავდება, რეგიონების მიხედვით, ეს არის ქვემო ქართლი და შიდა ქართლი, სადაც შიდა წარმოების 30% გადამუშავება ხდება. შესაბამისად, ცალსახად მიშვნელოვანია თითოეული სოფლის მეურნეობის დარგის დამატება მარნეულის მუნიციპალიტეტისთვის. ამისთვის მან დიდი მადლობა გადაუხადა კოლეჯს, რომ არის სურვილი, პროგრამის დამატების. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს, მან აღნიშნა, რომ მარნეულის აგრო ბაზა იძლევა იმის საშუალებას, რომ იქ კარგი პრაქტიკა მიიღოს პროფესიულმა სტუდენტმა, ასევე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ასევე ფერმერული მეურნეობა იძლევა საშუალებას, რომ პროფესიულმა სტუდენტმა კარგი პრაქტიკა გაიაროს, იმიტომ რომ იქ არის კაკლის ლატერალური ბაღი და ჟოლოს ბაღიც. ასევე დაწესებულების A და B გარემო, ნამდვილად შესაბამისობაშია სტანდარტთან და ნამდვილად შესაძლებელია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ნაწილი შესყიდვის ეტაპზეა. თუმცა დარგის ექსპერტს შენიშვნა ჰქონდა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად პრაქტიკულ კომპონენტზეა დაფუძნებული, მიუღებელია, ამ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი განახორციელოს პირმა, რომელიც იყო პროფესიით ეკონომისტი და დაასახელა ამ პირის სახელი და გვარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, თავი შეეკავებინა ისეთი გამოთქმებისგან, როგორიცაა ,,უკმაყოფილო დარჩა“, ,,არ მოეწონა“ და ა.შ. ექსპერტმა საბჭოზე უნდა წარმოადგინოს თავისი შეფასება, შესაბამისობაშია თუ არა სტანდარტი და შესაბამისობაშია თუ არა განმახორციელებლის კვალიფიკაცია და ასე შემდეგ, თავი უნდა შეიკავოს როგორც ექსპერტმა, ასევე დაწესებულებამ. ასევე, არ უნდა ხდებოდეს საბჭოზე პერსონალური მონაცემების გაჟღერება.

დარგის ექსპერტი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდებოდა, რომ კანდიდატის კომპეტენცია არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. აქვე დასძინა, რომ ორ კანდიდატს უნდა განეხორციელებინა პროფესიული მოდულები, მებაღეობა, მცენარეთა სხვლა/ფორმირება და სხვა. ამ ორიდან ერთის კომპეტენცია არ შეესაბამებოდა, მეორეს პრობლემა ჰქონდა პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, თუ რატომ არ შეესაბამებოდა, რაზედაც დარგის ექსპერტის პასუხი იყო, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სოფლის მეურნეობის კვალიფიკაცია ნამდვილად აქვს, ასევე დიდი გამოცდილება სოფლის მეურნეობაში, თუმცა ერთ-ერთი დასაქმებულია დამატებით სხვა სამსახურში, სადაც ჩართულია მეცხოველეობის კუთხით . შესაბამისად, მას პრაქტიკულ ნაწილთან ჰქონდა შეუსაბამობა.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ორივე განმახორციელებელი პირი იყო თუ არა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ ორივე ახორციელებდა შემდეგ მოდულებს: „ხეხილის ბაღის გაშენება“, „ხეხილის სხვლა/ფორმირება“, „ხეხილის დახარისხება და შენახვა“, „ხეხილის დაცვა“, „ხეხილოვანი კულტურული ბაღის მოვლა“. შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ორივეს ყველა სწავლის შედეგი ეწერათ, თუ არა.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ იყო გამიჯნული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტი და არგუმენტირებულ პოზიციაში, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა ცენტრში, აღნიშნული იყო, რომ ერთი განმახორციელებელი ახორციელებდა ამ მოდულებს, ხოლო მეორეს პრაქტიკული გამოცდილება არ ჰქონდა, ანუ დარგის კომპეტენცია ჰქონდა თეორიულ ნაწილში, მაგრამ არ ჰქონდა პრაქტიკული გამოცდილება.ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით არ დგინდებოდა, რომ მას თუნდაც ხეხილის გასხვლაზე ჰქონოდა გამოცდილება. ის სწავლობდა ასპირანტურაში მემცენარეობას, სადაც ერთწლოვანი კულტურები და საკვები ბალახები ისწავლებოდა და მებოსტნეობის მიმართულება და არა მებაღე/მეხილეობის დარგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, რომ ან დაედასტურებინა განმახორციელებლების კვალიფიკაცია ან დაეფიქსირებინა, რომ არ ჰქონდათ კვალიფიკაცია, აქვე დასძინა, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს განმახორციელებელი პირები. დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტალურად და გასაუბრებით დაადგინა, რომ მას არ ჰქონდა პრაქტიკული გამოცდილება. შემდეგ დაწესებულებამ წარმოადგინა ცნობა-დახასიათება, რომელიც მისი აზრით, არც ცნობა იყო და არც დახასიათება. მისი შინაარსობრივი ნაწილიდან არ იკითხებოდა, რომ მას ზუსტად ამ დარგში ჰქონდა გამოცდილება. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცნობა არ იყო კანცელარიაში გატარებული, არც ნომერი ჰქონდა მინიჭებული და არც შტამპით იყო დამოწმებული. შესაბამისად, მისი აზრით, დოკუმენტი, რომელიც წარმოადგინეს, ვერ ადასტურებდა განმახორციელებელი პირის კომპეტენციას. ერთ განმახორციელებელს უნდა განეხორციელებინა თეორიული კომპონენტი, ხოლო მეორეს პრაქტიკული კომპონენტი, თუმცა მეორე განმახორციელებელს არ ჰქონდა პრაქტიკული გამოცდილება.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ თუ კანდიდატს/განმახორციელებელ პირს ხეხილის მოვლაში ჰქონდა გამოცდილება, მასში შედის ასევე სხვლა/ფორმირებაც, იქიდან გამომდინარე, რომ კარგად იცნობს ამ პროგრამას ვერ დაეთანხმება ექსპერტს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მოდუსისთვის“ „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:
სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ:216350829) უარი ეთქვას განახორციელოს „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

შემდეგი საკითხის განხილვამდე ნანი დალაქიშვილმა მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, რომ განეხილათ სსიპ - კოლეჯ „მერმისის“ წერილი „კონდიტერის“, „თმის სტილისტის“ და „ტუროპერატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების შესახებ და შესაბამისად გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი, რადგანაც დაწესებულების დირექტორმა შეძლო შემოერთებოდა საბჭოს სხდომას.

4. სსიპ კოლეჯი ,,მერმისის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილების ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს წინაშე საკითხი წარადგანა ნანი დალაქიშვილმა, მან აღნიშნა, რომ ცენტრში შემოვიდა სსიპ - კოლეჯ „მერმისის“ წერილი, „კონდიტერის“, „თმის სტილისტის“ და „ტუროპერატორის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების და ამ პროგრამების გაუქმებასთან

დაკავშირებით, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შესახებ.

დაწესებულების დირექტორმა საბჭოს და დამსწრე საზოგადოებას ბოდიში მოუხადა, რომ ვერ ჩაერთო დროულად საბჭოს სხდომას. მან დასძინა, რომ ვინაიდან სამივე პროგრამაზე დასრულდა სწავლება, პროფესიულ სტუდენტებს მიენიჭათ პროფესიული კვალიფიკაცია, გაუქმდა სამივე პროგრამა, შესაბამისად, ითხოვა ცვლილება შესულიყო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში.
მან ასევე აღნიშნა, რომ შესაბამისად დაწესებულების კვოტა შემცირებულიყო, თუმცა ამასთან დაკავშირებით ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ მოქმედი ავტორიზაციის დებულების თანახმად, თითოეულ პროგრამას აქვს თავისი კვოტა განსაზღვრული, კოლეჯს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა საბჭოს გადაწყვეტილებაში აღარ უფიქსირდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილების ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცვლილება განხორციელდეს სსიპ - კოლეჯი „მერმისის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს №157 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 1**).

5. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,ფარმაცია (სააფთიაქოს)" განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

6. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლების'' განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

საბჭოს წინაშე ორივე საკითხთან დაკავშირებით ერთიანი პრეზენტაცია წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნია გუგუნავამ, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან ორივე საკითხი ეხება ერთი და იმავე დაწესებულების ფართის ცვლილებას და რეკომენდაციებიც იდენტურია, ერთიანი პრეზენტაცია იქნა წარმოდგენილი. სხდომას ესწრებოდნენ დარგის ექსპერტები ნანა ვერულაშვილი და თამილა გრძელიშვილი.

ნია გუგუნავამ აღნიშნა, რომ შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიის“ მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილ იქნა განაცხადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ. დაწესებულება განთავსებული იყო შპს მაღალტექნოლოგიურ ჰოსპიტალ მედცენტრში. ჰოსპიტალის დირექტორის წერილის თანახმად, პანდემიის გამო, ჰოსპიტალში საჭირო გახდა დამატებითი სივრცეების მოწყობა, ჰოსპიტალში განხორციელდა რეორგანიზაცია. აღნიშნული გარემოება გახლდათ კოლეჯის მიერ ფართის შეცვლის მიზეზი. ჰოსპიტალის ადმინისტრაციის მიერ, კოლეჯისათვის შეთავაზებულ იქნა ალტერნატიული ფართი შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი“ შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ტბეთის ქუჩა №4. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 აგვისტოს №768166 ბრძანებით (ცვლილება№789521, 12/08/2021) და №768168 ბრძანებებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „საექთნო განათლება“ და „ფარმაცია (სააფთიაქო)“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ბ.ბ" და "ბ.დ" კომპონენტების და აგრეთვე ე) ქვეპუნქტით დადგენილ სტანდარტების "ე.ა" და " ე.ბ" კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების მიზნით განეხორციელებინა ვიზიტი ქ. ბათუმში, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში (განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი, ტბეთის N4). გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას ცენტრში ჰქონდა წარმოდგენილი მხოლოდ განაცხადით წარსადგენი შესაბამისი დოკუმენტაცია ბრძანებაში განსაზღვრული კომპონენტების შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტები, რაც მოწოდებულ იქნა დაწესებულების მიერ გონივრულ ვადაში. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავეს ვიზიტის განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან.

აღსანიშნავია, რომ შპს „ბათუმის სამედიცინო აკადემიაში“ მიმდინარე წლის აპრილის თვეში განხორციელდა დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფართის ცვლილების შესახებ. აღნიშნული წარმოება დაწესებულებამ შეწყვიტა თავისი სურვილით. ორივე წარმოების დროს თავმჯდომარე გახლდათ ერთი და იგივე პიროვნება, გამომდინარე იქედან, რომ წინა წარმოების დროს სრულყოფილად დათვალიერება ვერ მოხერხდა, ვინაიდან განხორციელდა დისტანციური ვიზიტი Zoom პლატფორმის გამოყენებით5.1 კომპონენტი (5.1.1-4 და 5.1.1-9 ინდიკატორები) შეფასებულ იყო სრული შესაბამისობით. ამ წარმოების დროს კი შეფასდა მეტწილად. დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად ადგილზე, აღმოჩნდა, რომ დაწესებულებას თავის მფლობელობაში არსებული მხოლოდ მე-2 სართული აქვს უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მე-3 სართული არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულების B გარემო, წინა წარმოების დროს განთავსებული იყო ბუნებრივი განათების მქონე ოთახში, ამ წარმოების დროს, ვიზუალური დათვალიერებით გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შეცვლილი აქვს B გარემოსთვის დათმობილი აუდიტორია, რომელიც არ არის

უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, ხარვეზების გონივრულ ვადაში აღმოფხვრის გათვალისწინებით.

ვიზიტის დროს დაწესებულებას მიეცა რამდენიმე ინდიკატორთან დაკავშირებით შესაბამისობის რეკომენდაცია:
5.1.1-4 დაწესებულების სარგებლობაში არსებული ფართი ნაწილობრივ უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. როგორც აღინიშნა, დაწესებულებას თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრთან დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება ქონებით სარგებლობის თაობაზე. აღნიშნულის თანახმად, დაწესებულებას უფლება აქვს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძოს შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ ტერიტორიაზე (ქ.ბათუმი, ტბეთის ქუჩა №4), მე-2 და მე-3 სართულებზე. ვიზიტის დროს, ექსპერტების მიერ შემოწმდა ცენტრალური გათბობის სისტემის არსებობა და გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: დაწესებულების სარგებლობაში არსებული მხოლოდ მე-2 სართულია უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით, ხოლო მე-3 სართულზე განთავსებულია მხოლოდ კონდიციონერი გათბობისა და გაგრილების რეჟიმით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვიზიტზე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს ცენტრალური გათბობის სისტემის რადიატორების მონტაჟი. გეგმაში მითითებულია დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (2021 წლის 16 აგვისტო - 2021 წლის პირველი დეკემბერი). გასათვალისწინებელია, რომ შენობის მესამე სართულზე ამოყვანილია ცენტრალური გათბობის მილები, ამ ეტაპზე საჭიროა მხოლოდ გათბობის რადიატორების დამონტაჟება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.
5.1.1-9 დაწესებულების სასწავლო ფართის უმეტესი ნაწილი, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს დაწესებულების B სასწავლო გარემო (20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 კომპიუტერი პროფესიული მასწავლებლისათვის), რომელიც არ არის უზრუნველყოფილი ბუნებრივი განათებით. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ აქტივობად გაწერილი აქვს აღნიშნულ B გარემოში არსებული ტექნიკის განლაგება ადმინისტრაციის ორ კაბინეტში, რომელთაც აქვთ ბუნებრივი განათება. გეგმაში მითითებულია აქტივობის დაწყებისა და დასრულების სავარაუდო პერიოდები (2021 წლის 16 აგვისტო - 2021 წლის 15 სექტემბერი). B გარემოს ორ აუდიტორიაში გადანაწილების დროს, ერთ ცვლაში არსებულ სტუდენტთა რაოდენობა 20 გაიყოფა 2 ჯგუფად, რისთვისაც საჭირო გახდება ორი პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვა, ერთი კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, დაწესებულებას ჰყავს საკმარისი რაოდენობის ადამიანური რესურსი აღნიშნულის განსახორციელებლად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა მიერ კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სრულყოფაში მოიყვანოს შესაბამისობის გეგმაში ასახული საკითხი, ვადის გათვალისწინებით.
ნია გუგუნავამ თავის პრეზენტაციაში ასევე აღნიშნა, რომ 2.2 და 2.4 კომპონენტი შეფასდა „სრული შესაბამისობით“ ორივე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში.

ასევე პრეზენტაციაში წარმოდგენილი იქნა ფოტოკოლაჟი, სადაც ასახული იყო დაწესებულების სხვადასხვა სივრცეები, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა და სხვ. ორივე პროგრამისთვის.

ნინო სტეფანიშვილმა ყურადღება გაამახვილა გათბობის და კამერების საკითხზე, მან აღნიშნა, რომ დისტანციური ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა იდენტიფიცირება, თუ რომელ სართულზე იყო დამონტაჟებული კამერა, და ასევე გათბობა იყო თუ არა დამონტაჟებული ორივე სართულზე, თუმცა ადგილზე ვიზიტის დროს ეს ყველაფერი ნახეს და განსხვავებულად შეაფასეს ექსპერტებმა.

აზრი გამოთქვა ასევე დარგის ექსპერტმა ნანა ვერულაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აღფრთოვანებული დარჩა აღჭურვილობით, თუმცა საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ გამწოვი კარადის მილი ვიზუალურად არ იყო კარგად დამონტაჟებული, თუმცა დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაცული იყო უსაფრთხოების ნორმები. მან ასევე აღნიშნა, რომ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო აღჭურვილობა სრულყოფილად აქვს დაწესებულებას.

ნია გუგუნავა დაინტერესდა, თუ იყო შესრულებული აქტივობა, რომელიც 15 სექტემბრისთვის უნდა ყოფილიყო დასრულებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესრულებული ჰქონდათ და წარმოადგინა აქტივობის შესრულების დამადასტურებელი ფოტოები.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტებინა კოლეჯის ხელმძღვანელობას, რა ვადებში დასრულდებოდა სამუშაოები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამუშოები უკვე მიმდინარეობს, და ითხოვეს, რომ მონიტორინგი ჩაინიშნოს 2021 წლის 1 დეკემბრიდან. ნანი დალაქიშვილმა საბჭოს შეახსენა, რომ მონიტორინგის თაობაზე ცენტრისათვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, საბჭომ აგრეთვე უნდა განსაზღვროს მონიტორინგის განხორციელების ფორმა.
საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ფარმაცია (სააფთიაქოს)“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
განხორციელდეს შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის (ს/კ:245419355) „ფარმაცია (სააფთიაქო)'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (**დანართი 2**).
საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით იმ კომპონენტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისად იყო შეფასებული ექსპერტების მიერ და დადასტურებული კოლეჯის მიერ - კომპონენტი 5.1, მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2021 წლის 1 დეკემბრიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ გაახმოვანა მეორე პროგრამის პარამეტრები, რომელსაც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საექთნო განათლების“ განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
განხორციელდეს შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის (ს/კ:245419355) „საექთნო განათლების'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება (**დანართი 3**).

19:05 საათზე საბჭომ დაასრულა მუშაობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

№	**პროგრამის დასახელება**	**პროფესიული განათლების დონე / საფეხური**	**მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით**	**კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის**	**სწავლების ენა**	**ადგილების ზღვრული რაოდენობა**	**პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები**
1	კულინარიის ხელოვნება (1, 2)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში 1013	80	95	ქართული	80 (1) 27 (2)	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
2	კონდიტერია (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში 1013	80	95	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	მხატვრული ქსოვა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მხატვრულ ქსოვაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	გრაფიკული დიზაინის შესრულება (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ციფრულ ხელოვნებაში 0211	90	120	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
5	ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოებაში 0723	96	111	ქართული	28	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
6	ელექტროობა (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში 0713	52	67	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

7	იატაკისა და ფილის სამუშაოები (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში 0732	82	97	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
8	მომინანქრება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214	61	76	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
9	საოფისე საქმე (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 0415	59	89	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
10	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411	99	129	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
11	სამკერვალო წარმოება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვ ალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში 0723	99	114	ქართული	100	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
12	თექის დამზადება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თექის დამზადებაში 0214	75	90	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
13	თმის მომსახურება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
14	ხის მხატვრული დამუშავება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში 0214	78	93	ქართული	20	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
15	ძრავას შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი	57	72	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

			ავტომობილის შეკეთებაში 0716					
16	სავალი ნაწილის შეკეთება (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში 0716	58	73	ქართული	20	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
17	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდამჭერი (1)	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 0612	60	75	ქართული	80	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
18	ვებ ტექნოლოგიები (1)	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებ ტექნოლოგიებში 0612	63	93	ქართული	40	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში,
პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (1)	მესამე საფეხური	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული	92	107	ქართული	49	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

			კვალიფიკაცია 080360					
2	კონდიტერი (1)	მესამე საფეხური	კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 010462	76	91	ქართული	24	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
3	თმის სტილისტი (1)	მესამე საფეხური	თმის სტილისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080385	61	76	ქართული	32	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა
4	ტუროპერატორი (1)	მეხუთე საფეხური	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112062	94	124	ქართული	24	ქ. თბილისი. დ. გურამიშვილის ჩიხი №9ა

(1) აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(1) - *აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	80
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ტბეთის ქ. №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	120
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210